

თავი 16 პროცენტ-შოუ

ჯონათანი ბიბლიოთეკის კიბესთან რომ დაბრუნდა, მზე ჩადიოდა. მას ძალიან მოეწონა ქალაქის ღამის ცხოვრების დაწყება. ხალხი სკვერში ირეოდა. თანდათან მატულობდა ადამიანთა რიცხვი, რომლებიც სახალხო ბიბლიოთეკასთან ახლოს მდებარე გასაოცარი სადღესასწაულო კარვისკენ მიემართებოდნენ.

ჯონათანი მოიხიბლა შექებით, ხედებით, ხმებით და უმშვენიერეს კარავს გარშემო რამდენჯერმე შემოუარა. კარვის თავზე ფერად-ფერადი ასოებით ეწერა: „პროცენტ-შოუ“.

უცებ ბრბოდან გამოვიდა მიმზიდველი ქალი, რომელსაც მჭიდრო, ჭრელა-ჭრულა კოსტიუმი ეცვა, და ხმამაღლა განაცხადა:

– ყურადღება, ყურადღება! თუ გინდათ, შეივრძნოთ ცხოვრება, მობრძანდით ჩვენს სანახაობაზე, – მან ჯონათანი შენიშნა, რომელსაც გაოცებისგან თვალები გაფართოებოდა და ხელი ჩასჭიდა:

– აქ ყველა გამარჯვებული იქნება.

– რა ღირს ეს სიამოვნება? – იკითხა ჯონათანმა.

– ათი კეინი გადაიხადე და კარგ პრიზს მიიღებ, – უპასუხა ქალმა, შემდეგ ისევ მიუბრუნდა ხალხის ჯგუფს და განაგრძო, – ყურადღება, ყურადღება! პროცენტ-შოუ გაგამდიდრებთ.

ჯონათანს საკმარისი ფული არ ჰქონდა. მოიცადა, ვიდრე ქალი სხვებს დაელაპარაკებოდა, მერე კი კარვის უკანა მხრისკენ ფეხაკრეფით წავიდა, ნაჭრის კედელი ასწია და შიგნით შეიჭყიტა. ხალხი მაყურებელთათვის განკუთვნილ ადგილებზე მოკალათებულყო. ცენტრში უნიფორმებში გამოწყობილი კონსიერჟები მონაწილეებს თავიანთი ადგილებისკენ მიანიშნებდნენ, რომლებიც წრეზე იყო განლაგებული. ათი მონაწილიდან ზოგი იდგა, ზოგს ჩაემუხლა, თითქოს რაღაცას ელოდნენ. სანთლები ხრჩოლაგდა, ბარაბნისა და საყვირების ხმა ისმოდა. პროექტორმა სიმპათიური მამაკაცი გაანათა, რომელსაც შავი, მბზინავი კოსტიუმი ეცვა და აბრეშუმის ქუდი ეხურა. მან ათკაციან დამსწრეთა ჯგუფს თავი დაუკრა:

– სადამო მშვიდობისა, – თქვა კაცმა და ღიმილისას თეთრი კბილები გამოუჩნდა, – მე წამყვანი გახლავართ! ამ სადამოს თქვენ ათივეს გაგიმართლებთ და გამარჯვებულები იქნებით. ყველა თქვენგანი თავს უფრო ბედნიერად იგრძნობს, ვიდრე აქ მოსვლამდე იყო. გთხოვთ, თქვენს ადგილებზე დარჩეთ.

ამ სიტყვებითა და თეთრხელთა მანიანი ხელის სწრაფი მოქნევით მან თითოეული მონაწილისგან თითო კეინი მოაგროვა. უარი არავის უთქვამს.

წამყვანმა კვლავ გაიღიმა და გამოაცხადა:

– ახლა ნახავთ, რა ჯილდოს მიიღებთ, – და უცებ ხუთი კეინი ერთ-ერთ მონაწილეს კალთაში ჩაუყარა. იღბლიანმა ადამიანმა სიხარულით შეჰყვირა, – თქვენ ერთადერთი გამარჯვებული არ იქნებით, – გამოაცხადა წამყვანმა, მერე ათჯერ ჩამოუარა წრეს და ყოველი მონაწილისგან თითო კეინი აიღო. ყოველი ჩამოვლის შემდეგ ხუთი კეინი ვარდებოდა თითო ადამიანის კალთაში. ისინიც სიხარულისგან ადგილზე ხტებოდნენ.

როცა ეს პროცესი დასრულდა და მონაწილეებმა გამოსვლა დაიწყეს, ჯონათანმა კარავს შემოუარა და გასასვლელთან დადგა, რათა ენახა, მართლა ყველა კმაყოფილი იყო თუ არა. შესასვლელში მდგარ ქალს კარვის კალთა აეწია. მან ერთ-ერთი მონაწილე გააჩერა და ჰკითხა:

– კარგად იმხიარულეთ?

– კი, რა თქმა უნდა, შესანიშნავი იყო, – თქვა კაცმა და კმაყოფილების ღიმილი მოეფინა სახეზე.

– ერთი სული მაქვს, ჩემს მეგობრებს როდის მოვუყვები.

– შეიძლება კვლავაც მოვიდე, – თქვა მეორემ.

მაღე კიდევ ერთი აღტაცებული ადამიანი გამოჩნდა.

– მაგარი იყო. პრიზი ყველამ მიიღო ხუთი კეინის სახით.

ჯონათანი დაფიქრებული აკვირდებოდა ამ ადამიანებს. ისინი თანდათან გაიფანტნენ. ქალი წამყვანს მიუბრუნდა, რომელიც ხალხს ხელის ქნევით ემშვიდობებოდა და მშვიდად უთხრა:

– თქვენ განსაკუთრებით კმაყოფილი უნდა იყოთ. ორმოცდაათი კეინი მოგება დაგვრჩა, თან ყველა ეს იდიოტი ბედნიერი იყო. ვფიქრობ, მომავალ წელს ლორდთა საბჭოს უნდა ვთხოვოთ, მიიღოს კანონი, რომლის მიხედვითაც, ყველა იძულებული იქნება, შოუში მიიღოს მონაწილეობა.

ამასობაში ერთ-ერთი კონსიერჟი ჯონათანს მიეპარა და ქეჩოში სტაცა ხელი.

– გაჩერდი, არამზადავ! დაგინახე, წელან როგორ იჭვრიტებოდი. გეგონა, უფასოდ ნახავდი შოუს?!

– მაპატიეთ, არ ვიცოდი, თუ ყურებაც ფასიანი იყო. ის ლამაზი ქალი ისე საინტერესოდ აცხადებდა, მაგრამ მე საკმარისი ფული არ მქონდა, – თქვა ჯონათანმა და გათავისუფლებას შეეცადა.

წამყვანი მოღუშული სახით მიუახლოვდა ჯონათანსა და კონსიერჟს.

– ფული არ გქონდა?

ქალს კი ჯონათანის ნათქვამზე გაეცინა და კონსიერჟს უთხრა:

– გაუშვი, რა, ვერ ხედავ, ბავშვია?! ესე იგი, შოუ მოგეწონა არა?

– დიახ, მემ, – თავის ძლიერად დაქნევით უპასუხა ჯონათანმა.

– როგორ შეიძლება, ფული ადვილად იშოვოს ადამიანმა? ან იმას გააკეთებ, რასაც გეტყვი, ან დაცვას ჩავაბარებ შენს თავს, – ქალის ხმაში მუქარა გაისმა.

– მშვენიერია! რა გინდათ რომ გავაკეთო? – იკითხა ჯონათანმა.

– ეს მარტივია, – ტკბილად გაიღიმა ქალმა, – ამ საღამოს ქალაქში გაისეირნე და ეს ფლაერები ხალხს დაურიგე, თან ყველას უთხარი, როგორ გაერთობიან ისინი ჩვენს შოუზე. აი, შენ ერთი კეინი და თითო მონაწილიდან ერთ კეინს კიდევ მიიღებ, თუ მათ შემოსვლისას ფლაერი ექნებათ. ახლა წადი და იმედი არ გამიცრუო.

ჯონათანმა ფლაერების ჩანთა მხარზე გადაიკიდა. ქალმა იქვე დასძინა:

– კიდევ ერთი რამ მინდა გითხრა: ამ საღამოს, შოუს შემდეგ ჩემს ანგარიშში შენი შემოსავლების შესახებაც ჩავწერ და დილით, პირველ რიგში, უნდა წახვიდე და შენი შემოსავლის ნახევარი ქალაქის საკრებულოს ჩააბარო. ეს შენი ბეგარა იქნება.

– ბეგარა?! – გაიმეორა ჯონათანმა, – რისი ბეგარა?

– ლორდები შენი ხელფასიდან პროცენტს ითხოვენ.

ჯონათანს ეს იდეა არ მოეწონა, მერე იმედიანად დასძინა:

– თუ თქვენს ანგარიშში ჩემი შემოსავლების შესახებ არაფერს ჩაწერთ, უფრო გულმოდგინედ ვიმუშავებ, ორჯერ მეტად მოვინდომებ.

– ლორდებს ამდენი ჭკუა ჰყოფნით ბიჭუნა. ჯაშუშები ყველგან ჰყავთ და კარგად გვაკვირდებიან. თუ შეამჩნევენ, რომ შენს შემოსავალს ვმაღავთ, დიდი პრობლემა შეგვექმნება. შეიძლება, დაგვხურონ კიდევ. ასე რომ, ნუ წუწუნებ. ჩვენ ყველამ უნდა გადავიხადოთ საკუთარი ცოდვებისთვის.

– ცოდვებისთვის? – ჩაეკითხა ჯონათანი.

– კი. გადასახადები ჩადენილი ცოდვების საფასურია. თამბაქოს გადასახადი მწვეკელთა სასჯელია, ალკოჰოლისა – ლოთების, საპროცენტო გადასახადით მომხვეჭელები ისჯებიან, საშემოსავლო ბეგარით კი – მოსამსახურენი, – ჩაიხითხითა ქალმა და შოუს წამყვანს თვალი ჩაუკრა, შემდეგ განაგრძო – საბჭოს იდეალებს ჯანმრთელობა, სიფხიზლე, ფინანსური დამოკიდებულება და სიზარმაცე წარმოადგენს. ახლა კი გაინძერი ბიჭუნი.